Research

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

იანვარი 2021

- 2021 წლის იანვარში, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი 94.5%-ით შემცირდა. მათ შორის, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 93.6%-ით, ხოლო საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 91.9%-ით შემცირდა.
- 2021 წლის იანვარში, სასტუმროების ფასების წლიური ინდექსი აჭარაში 33.8%-ით, ხოლო სამცხე-ჯავახეთში 28.5%-ით შემცირდა.
- საქართველოს მთის კურორტებზე სათხილამურო ტრასების ვიზიტორთა რაოდენობა 2014-2015 წლების სეზონიდან 2018-2019 წლების სეზონამდე მკვეთრად იზრდებოდა, კერძოდ, ყოველწლიურად საშუალოდ 21%-ით. ზრდა შეჩერდა 2019-2020 წლებში, როცა ხანმოკლე სათხილამურო სეზონის გამო, ვიზიტორთა რაოდენობა, წინა სეზონთან შედარებით, 20%-ით შემცირდა, ხოლო 2020-2021 წლების ზამთრის სეზონი გაუქმდა არასახარბიელო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო.
- გაყიდვები თითო სათხილამურო დღეზე მნიშვნელოვნად იზრდებოდა 2014-2015 ზამთრის სეზონიდან 2018-2019 სეზონის ჩათვლით, კერძოდ, ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად საშუალოდ 33%-ით იზრდებოდა. 2019-2020 წლების სეზონში კი წლიურმა ზრდამ 4%-ს მიაღწია.

საქართველოს მთის კურორტები: პანდემიამდელი სურათი

COVID-19 პანდემიამ პრობლემები შეუქმნა ტურიზმს მთელ მსოფლიოში, ამ მხრივ არც ზამთრის ტურიზმი ყოფილა გამონაკლისი. სათხილამურო კურორტებზე ინფიცირების საშიშროების, და ასევე, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში არსებული არასახარბიელო ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობის გამო, მთელს მსოფლიოში სათხილამურო კურორტების დიდი ნაწილი, მათ შორის, საქართველოს სათხილამურო კურორტებიც, ჩაკეტილია. ამ გამოცემაში მიმოვიხილავთ საქართველოს სათხილამურო კურორტების პანდემიამდელ მდგომარეობას ვიზიტორების რაოდენობისა და მიღებული შემოსავლების ჭრილში.

საქართველოში სულ 5 სათხილამურო კურორტია, რომლებიც მზარდი ვიზიტორების რაოდენობითა და მიღებული სათხილამურო შემოსავლებით ხასიათდებიან. 2014-2015 წლის ზამთრის სეზონიდან 2018-2019 წლების ზამთრის სეზონამდე, სათხილამურო ტრასებზე მყოფი ვიზიტორების რაოდენობა ყოველწლიურად საშუალოდ 21%-ით იზრდებოდა. 2019-2020 წლებში, ხანმოკლე სათხილამურო სეზონის გამო (სეზონში სათხილამურო დღეების რაოდენობა 25%-ით შემცირდა), რაც ძირითადად გამოწვეული იყო COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული უარყოფითი მოლოდინებით, ვიზიტორთა რაოდენობა, წინა სეზონთან შედარებით, 20%-ით შემცირდა.



წყარო: მთის კურორტების განვითარების კომპანია

საქართველოს სათხილამურო კურორტებიდან, ვიზიტორთა რაოდენობის კუთხით, გუდაური დომინირებს. მისი საშუალო წილი კურორტებზე მთლიან ვიზიტორებში გაანალიზებული პერიოდის განმავლობაში 67%-ს შეადგენს. ბაკურიანის წილმა ამავე პერიოდში კი საშუალოდ 26% შეადგინა. დარჩენილი 7% ნაწილდება 3 შედარებით ახალ სათხილამურო კურორტზე - გოდერძი აჭარაში, და ჰაწვალი და თეთნულდი მესტიაში.

დასაკვირვებლად საინტერესო ინდიკატორია საბაგიროს ბილეთების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლების მოცულობა თითო სათხილამურო დღეზე. სათხილამურო სეზონის ხანგრძლივობა ხუთივე კურორტზე და ყველა სეზონზე განსხვავებულია. ყოველი სეზონის საშუალო ხანგრძლივობა დათვლილია როგორც ხუთივე კურორტის ინდივიდუალური ხანგრძლივობების საშუალო.



წყარო: მთის კურორტების განვითარების კომპანია

თითო სათხილამურო დღეზე გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლების მაჩვენებელი, ვიზიტორების რაოდენობის ზრდასთან შედარებით კიდევ უფრო მნიშვნელოვნად იზრდებოდა. კერძოდ, 2014-2015 წლიდან 2018-2019 წლების ჩათვლით, თითო სათხილამურო დღეზე მიღებული შემოსავლები ყოველწლიურად საშუალოდ 33%-ით იზრდებოდა, ხოლო 2019-2020 წლების სეზონზე მოკრძალებული, 4%-იანი ზრდა დაფიქსირდა (მთლიანი გაყიდვების შემცირება დაკომპენსირდა ამ სეზონში სათხილამურო დღეების რაოდენობის კიდევ უფრო დიდი კლებით).

საერთო ჯამში, COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზარალა სათხილამურო კურორტების სწრაფად მზარდი სექტორი. მან 2019-2020 წლების ზამთრის სეზონზეც კი მოახდინა გავლენა ვიზიტორთა რაოდენობისა და გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლების მოცულობის კუთხით. იმის გამო, რომ 2020-2021 წლების ზამთრის სეზონი პრაქტიკულად გაუქმდა ქვეყანაში არახელსაყრელი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, გადამწყვეტი, მაგრამ ამავდროულად უკიდურესად რთული იქნება, რომ სექტორმა მოახერხოს და დაუბრუნდეს პანდემიამდელ მაჩვენებლებს და განვითარების ტემპებს.

სასტუმროს ფასების ინდექსი

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2021 იან/ 2020 დეკ	2021 იან/ 2020 იან	2021 იან/ 2020 დეკ	2021 იან/ 2020 იან	2021 იან/ 2020 დეკ	2021 იან/ 2020 იან
კახეთი	-0.4%	7.7%	-3.2%	8.0%	0.9%	7.5%
იმერეთი	1.8%	9.7%	-1.7%	4.2%	4.2%	12.8%
გურია	-1.7%		-2.8%		0.0%	
ქვემო ქართლი	26.3%		26.3%			
აჭარა	-2.0%	-33.8%	-4.1%	-40.6%	2.0%	-17.7%
რაჭა	1.1%	16.7%			1.1%	16.7%
შიდა ქართლი	10.3%	-18.8%			15.8%	-18.8%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4.1%	-19.8%	4.0%	-12.3%	4.2%	-22.2%
სამცხე-ჯავახეთი	-7.6%	-28.5%	-20.2%	-21.1%	17.8%	-33.6%
მცხეთა-მთიანეთი	-7.9%	-12.1%	0.0%	11.5%	-17.4%	-23.7%
თბილისი	-1.9%	-12.8%	-3.3%	-10.6%	9.8%	-21.7%
სულ ფასების % ცვლილება	-2.0%	-19.2%	-4.4%	-18.5%	5.3%	-20.7%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2021 წლის იანვარში, 2020 წლის დეკემბრის ფასებთან შედარებით და 2020 წლის იანვრის ფასებთან შედარებით.

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2021 წლის იანვარში, 2020 წლის დეკემბერთან შედარებით, 2%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი შემცირდა 4.4%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები გაიზარდა 5.3%-ით.

2021 წლის იანვარში, 2020 წლის იანვართან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 19.2%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 18.5%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 20.7%-ით შემცირდა.

სასტუმროს საშუალო ფასები

2021 წლის იანვარში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] 118 ლარი შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - 188 ლარი. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა იანვარში 72 ლარი შეადგინა.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა იანვარში 324 ლარი შეადგინა. სამცხე-ჯავახეთში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 420 ლარი შეადგინა, თბილისში - 417 ლარი, გურიაში - 404 ლარი, ხოლო კახეთში - 315 ლარი.

საბაზისო ეკონომიკური ინდიკატორები

	2018	I 2019	II 2019	III 2019	IV 2019	2019	I 2019	II 2019	III 2020	IV 2020	2020
1	1800	424.4	537.4	697	564.2	2 223	427.2*	310.4*	335.8*	-	-
2	8679.5	1617.5	2244.8	3375.1	2120.4	9357.9	1333.1	114.2	150.3	149.6	1749.3
3	4756.8	882.1	1245	1863.6	1089.7	5080.5	765.3	82.3	113.6	125.9	1087
4	3222.1	578.4	877.6	1126.8	685.8	3268.7	427.7	28.8	42.5	42.6	541.8
5	524.7	131.3	167.9	181.6	176.2	657.2	124.1	13.5	20.9	-	-
6	82.3	57.8	19.7	36.1	6.6	120.2	15.7*	3.0*	7.9*	-	-

1 მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)

3 ტურისტების რაოდენობა (ათასი)

4 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)

5 ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცი--რე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.